10385-0-3-201909241704

N 10385 24/09/2019

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ვალერიან მჭედლიძეს

ბატონო ვალერიან,

მოგეხსენებათ, დაცული ტერიტორიების სააგენტომ მოახდინა კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების UNESCO-ს ბუნებრივი მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად ნომინირება. აღნიშნულთან დაკავშირებით, შერჩულ იქნა ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) ორი ექსპერტი, რომლებიც 29 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე ეწვევიან ნომინირებულ არეალებს, გაიმართება შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, შეხვდებიან სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელებს და სხვა. ვიზიტის ფარგლებში, 8 ოქტომბერს გაიმართება ვიზიტის შემაჯამებელი კონფერენცია.

კონფერენციაზე მოწვეულია 80-მდე სტუმარი, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებიდან, ტერიტორიული ადმინისტრაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები, რომლებიც საერთაშორისო ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხებენ.

საერთაშორისო ექსპერტთა ფრენის ხარჯებს აანაზღაურებს „კავკასიის ბუნების ფონდი“, ხოლო კვებით გამასპინძლებას, სასტუმროში განთავსებასა და კონფერენციის უზრუნველყოფას მოახდენს “დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველოს” (SPPA) ფარგლებში GFA Consulting Group.

კონფერენციის წარმატებით განხორციელებისთვის, მოწვეული სტუმრებისთვის გვესაჭიროება შემდეგი მომსახურეობის შესყიდვა დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბიუჯეტიდან:

1. თარჯიმნის მომსახურება - 1 და 8 ოქტომბერს
2. სასაჩუქრე პაკეტის დამზადება კონფერენციის მონაწილეებისთვის 80 ადამიანზე (იხ. დანართი - ტექნიკური დავალება)
3. ბუკლეტები კონფერენციისთვის 100 ადამიანზე
4. 5 ბოთლი სასაჩუქრე ღვინო UNESCO-ს საერთაშორისო ექსპერტებისთვის

5. მისიის ფარგლებში ველზე ლანჩის პაკეტები 5 დღის განმავლობაში 20-20 ადამიანზე (5 საერთაშორისო ექსპერტი, 5 ადგილობრივი ექსპერტი, 2 ბათუმის ბოტანიკური ბაღის წარმომადგენელი და მტირალას, კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების თანამშრომლები)
6. ვახშამი 29 სექტემბერს (2 საერთაშორისო ექსპერტი და 3 დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენელი)
7. ოფიციალური ლანჩი 30 სექტემბერს (4 სტუმარი, 6 დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენელი)
8. 8 ოქტომბრის კონფერენციაზე სტუმართა თბილისიდან ტრანსპორტირება

გთხოვთ, აღნიშნული ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით დაავალოთ შესაბამის სამსახურს ბრძანების მომზადება და მომსახურების შესყიდვის უზრუნველყოფა.

პატივისცემით,

თამარ ხახიშვილი

სამსახურის უფროსი